

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და  
ეთიკის კომისიის  
სხდომის ოქმი N 3

ხაშური

2018 წლის 24 იანვარი

14-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: გურამ მაზიაშვილი, ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე,  
ნატო კიკაძე, ლევან გამრეკელი, ალექსანდრე სიმონიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ : საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი მურმან  
ცენგერაშვილი.

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 8 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის  
№41 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი  
სტრუქტურული ერთეულის – აუდიტის სამსახურის დებულების  
დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე მერიიდან  
წარმოდგენილი დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.  
მომხს. ა.ხარებავა
2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა  
და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №16 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.  
მომხს. ა.ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით. სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №41 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე მერიიდან წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ცოტნე ნოზაძემ, ნატო კიკაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: აღნიშნული დადგენილების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია


„ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ა.სიმონიშვილმა, ჯ.კაპანაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 8; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: აღნიშნული დადგენილების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და წარდგენილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე 

ანა ხარებავა